



საქართველოს თავდაცვის მინისტრის

ბრძანება

ქ. თბილისი

23/12/2020 წელი

№ MOD 7 20 00000939



საჯარო სამართლის იურიდიული პირის - დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიაში ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამის იუნკერებზე სტიპენდიის გაცემის კრიტერიუმებისა და მოცულობის დამტკიცების შესახებ

საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2017 წლის 14 მარტის №16 ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიის წესდების“ მე-6 მუხლის პირველი პუნქტის „ლ“ ქვეპუნქტის, მე-2 პუნქტის და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61-ე მუხლის თანახმად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა:

1. დამტკიცდეს თანდართული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიაში ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამის იუნკერებზე სტიპენდიის გაცემის კრიტერიუმები და მოცულობა“.
2. ძალადაკარგულად გამოცხადდეს „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის იუნკერებზე სტიპენდიის გაცემის კრიტერიუმებისა და მოცულობის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2020 წლის 30 სექტემბრის №MOD 2 20 00000709 ბრძანება.
3. ბრძანება ძალაშია ხელმოწერის დღიდან და ვრცელდება 2020 წლის პირველი დეკემბრიდან წარმოშობილ სამართლებრივ ურთიერთობებზე.

მინისტრის მოვალეობის შემსრულებელი
ირაკლი ღარიბაშვილი

**საჯარო სამართლის იურიდიული პირის – დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს
ეროვნული თავდაცვის აკადემიაში ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამის
იუნკერებზე სტიპენდიის გაცემის კრიტერიუმები და მოცულობა**

მუხლი 1. ზოგადი დებულებანი

საჯარო სამართლის იურიდიული პირის – დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიაში (შემდგომში - აკადემია) ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამის იუნკერებზე (შემდგომში - იუნკერი) სტიპენდიის გაცემის კრიტერიუმები და მოცულობა განისაზღვრება წინამდებარე დოკუმენტით.

მუხლი 2. იუნკერის სემესტრული რეიტინგული შეფასების გამოთვლის მეთოდოლოგია

1. სემესტრული რეიტინგული შეფასების გამოთვლის მიზნით, განისაზღვრება სემესტრული რეიტინგული ქულის შემადგენლობა შემდეგი შეფასებებით:
 - ა) **აკადემიური მოსწრების საშუალო ქულა** (კოეფიციენტი - 0,6), რომელიც წარმოადგენს იუნკერის მიერ სასწავლო სემესტრის განმავლობაში თითოეულ საგანში მიღებული შეფასებების საშუალო მაჩვენებელს. აკადემიური მოსწრების საშუალო ქულა გამოითვლება თითოეულ საგანში მიღებული სემესტრული შეფასებისა და საგნის კრედიტის გათვალისწინებით. აღნიშნული ქულის გამოთვლის მიზნით, ყოველი საგნის სემესტრული შეფასება მრავლდება საგნის კრედიტზე და მიღებული ნამრავლების ჯამი იყოფა მოცემული სემესტრის საგნების კრედიტების ჯამზე;
 - ბ) **ლიდერობის შეფასების ქულა** (კოეფიციენტი - 0,3), განისაზღვრება აკადემიის იუნკერთა სასწავლო ბატალიონის „იუნკერის ლიდერად ჩამოყალიბების სისტემის“ შესაბამისად;
 - გ) **ფიზიკური მომზადების საშუალო ქულა** (კოეფიციენტი - 0,1) გამოითვლება ფიზიკური მომზადების სამივე სახეობაში (წოლბჯენიდან აზიდვა, მუცლის პრესი, სირბილი) მიღებული ქულების საშუალო არითმეტიკულით.
2. იუნკერის სემესტრული რეიტინგული ქულა გამოითვლება აკადემიური მოსწრების საშუალო ქულისა და მისი კოეფიციენტის (0,6) ნამრავლს დამატებული ლიდერობის შეფასების ქულისა და მისი კოეფიციენტის (0,3) ნამრავლით და დამატებული ფიზიკური მომზადების საშუალო ქულისა და მისი კოეფიციენტის (0,1) ნამრავლით.
3. იუნკერის სემესტრული რეიტინგული ქულის გამოთვლას და იუნკერთა რანჟირებას ახორციელებს აკადემიის საგამოცდო ცენტრი. აღნიშნული მონაცემები, სტიპენდიის მოცულობის განსაზღვრის მიზნით, გადაეცემა აკადემიის შტაბის G-3/G-2 სამსახურის სამოქალაქო მიმართულების სასწავლო განყოფილებას, რომელიც სტიპენდიის გაცემის მიზნით, იუნკერზე გასაცემი სტიპენდიების შესახებ ინფორმაციას აწვდის აკადემიის შტაბის ფინანსების მართვის სამმართველოს.
4. იუნკერის სემესტრული რეიტინგული ქულა დისტანციური სწავლების პერიოდში გამოითვლება მხოლოდ აკადემიური მოსწრებით.

მუხლი 3. სტიპენდიის გაცემის კრიტერიუმები და მოცულობა

1. იუნკერს, რომელიც წარმატებით გაივლის აკადემიის იუნკერთა საწყისი საბრძოლო მომზადების (BCT) კურსს, აკადემიის საბაკალავრო პროგრამაზე სწავლების მთელი პერიოდის განმავლობაში, ყოველთვიურად მიეცემა სტიპენდია 200 (ორასი) ლარის ოდენობით.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრულ სტიპენდიასთან ერთად, იუნკერზე ყოველთვიურად დამატებით გაიცემა შესაბამისი სტიპენდია წინა სემესტრის რეიტინგული ქულის საფუძველზე, რანჟირების დოკუმენტის შესაბამისად, შემდეგი ოდენობით:

ა) 95-100 რეიტინგული ქულის შემთხვევაში - 300 ლარი (A);

ბ) 91-94 რეიტინგული ქულის შემთხვევაში - 200 ლარი (A);

გ) 81- 90 რეიტინგული ქულის შემთხვევაში - 100 ლარი (B).

3. 300 ლარი გაიცემა თუ იუნკერს:

ა) სემესტრული რეიტინგული მოსწრება აქვს 95-100 ქულის ფარგლებში;

ბ) ფიზიკური მომზადების თითოეულ სახეობაში (წოლბჯენიდან აზიდვა, მუცლის პრესი, სირბილი) მიღებული აქვს 100 ქულა;

გ) დისციპლინური წლის განმავლობაში დაკლებული აქვს არაუმეტეს 10 საკრედიტო ქულისა.

4. 200 ლარი გაიცემა თუ იუნკერს:

ა) სემესტრული რეიტინგული მოსწრება აქვს 91-94 ქულის ფარგლებში;

ბ) ფიზიკური მომზადების თითოეულ სახეობაში (წოლბჯენიდან აზიდვა, მუცლის პრესი, სირბილი) მიღებული აქვს 90 ქულა და მეტი;

გ) დისციპლინური წლის განმავლობაში დაკლებული აქვს არაუმეტეს 20 საკრედიტო ქულისა.

5. 100 ლარი გაიცემა თუ იუნკერს:

ა) სემესტრული რეიტინგული მოსწრება აქვს 81-90 ქულის ფარგლებში;

ბ) იუნკერს ფიზიკური მომზადების თითოეულ სახეობაში (წოლბჯენიდან აზიდვა, მუცლის პრესი, სირბილი) მიღებული აქვს 80 ქულა და მეტი;

გ) დისციპლინური წლის განმავლობაში დაკლებული აქვს არაუმეტეს 20 საკრედიტო ქულისა.

მუხლი 4. სტიპენდიის გაცემის ვადები

წინამდებარე დოკუმენტის მე-3 მუხლის მე-2 პუნქტით განსაზღვრული სტიპენდია გაიცემა გასული სემესტრის შედეგების მიხედვით მომდევნო სემესტრში ყოველთვიურად.